



INNOX

We Do Finance

შპს “პროგრესი”

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს “პროგრესი”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა3-5

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება6

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება8

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები10-35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პროგრესი“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პროგრესი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პროგრესი“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პროგრესი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან

დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, უამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

5 ნოემბერი 2025

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)



ირაკლი ჭილაძე
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-509177

დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, უამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

5 ნოემბერი 2025

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

ირაკლი ჭილაძე
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-509177

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,552,310	3,665,853
არამატერიალური აქტივები	8	7,562	8,976
გაცემული სესხები	9	-	132,839
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,559,872	3,807,668
მარაგები	5	2,405,448	2,429,753
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	1,587,930	1,518,266
წინასწარ გადახდილი ხარჯები		752	74,574
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	241,230	217,587
სულ მიმდინარე აქტივები		4,235,360	4,240,180
სულ აქტივები		7,795,232	8,047,848
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	3,424,813	4,064,051
გადასახდელი დივიდენდები		513,398	513,398
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,938,211	4,577,449
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,525,963	1,803,962
საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები	11	94,127	18,306
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		11,983	-
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	12	1,539,877	1,124,217
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,171,950	2,946,485
სულ ვალდებულებები		7,110,161	7,523,934
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,701,752	1,701,752
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		2,766,150	2,766,150
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(3,782,830)	(3,943,988)
სულ კაპიტალი		685,072	523,914
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,795,232	8,047,848

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-35 გვერდის ჩათვლით დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 5 ნოემბერს

ზურაბ ლორთქიფანიძე

რეგისტრაციის მმართველი

გიორგი ნიკოლაიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ნონა წიკლაური

მთავარი ბუღალტერი

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,552,310	3,665,853
არამატერიალური აქტივები	8	7,562	8,976
გაცემული სესხები	9	-	132,839
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,559,872	3,807,668
მარაგები	5	2,405,448	2,429,753
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	1,587,930	1,518,266
წინასწარ გადახდილი ხარჯები		752	74,574
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	241,230	217,587
სულ მიმდინარე აქტივები		4,235,360	4,240,180
სულ აქტივები		7,795,232	8,047,848
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	3,424,813	4,064,051
გადასახდელი დივიდენდები		513,398	513,398
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,938,211	4,577,449
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,525,963	1,803,962
საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები	11	94,127	18,306
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		11,983	-
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	12	1,539,877	1,124,217
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,171,950	2,946,485
სულ ვალდებულებები		7,110,161	7,523,934
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,701,752	1,701,752
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		2,766,150	2,766,150
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(3,782,830)	(3,943,988)
სულ კაპიტალი		685,072	523,914
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,795,232	8,047,848

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-35 გვერდის ჩათვლით დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 5 ნოემბერს

ზურაბ ლორთქიფანიძე

გიორგი ნიკოლაიშვილი

ნონა წიკლაური

რეაბილიტაციის მმართველი

აღმასრულებელი დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	23,642,338	25,611,934
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(19,980,863)	(23,180,792)
საერთო მოგება		3,661,475	2,431,142
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3,082,099)	(3,060,507)
არასაოპერაციო ხარჯები	17	(124,384)	(166,029)
არასაოპერაციო შემოსავლები	18	37,437	114,880
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(12,383)	26,525
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი/შემოსავალი		(280,537)	(129,286)
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		199,509	(783,275)
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(38,351)	(39,879)
წმინდა მოგება		161,158	(823,154)
სხვა სრული შემოსავალი			
ცვლილება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		161,158	(823,154)

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		161,158	(823,154)
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		52,619	155,387
ცვეთა და ამორტიზაცია	16	162,245	70,625
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში		24,304	2,080,047
ცვლილება გაცემულ სესხებში		132,839	-
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	6	4,158	299,716
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	10	75,821	132,806
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	9	(266,015)	(1,489,759)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		347,129	425,668
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		347,129	425,668
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	7,8	(47,289)	(28,662)
ძირითადი საშუალებების გასვლა			
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(47,289)	(28,662)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულებების მიღება			-
სასესხო ვალდებულებების გადახდა		(276,197)	(208,920)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(276,197)	(208,920)
ნაშთი წლის დასაწყისში		217,587	29,501
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		23,643	188,086
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4	241,230	217,587

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდები კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,701,752	(3,120,834)	2,766,150	1,347,067
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	-	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(823,154)	-	(823,154)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,701,752	(3,943,988)	2,766,150	523,914
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	-	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	161,158	-	161,158
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,701,752	(3,782,830)	2,766,150	685,072

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები	21
4. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
5. მარაგები	22
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	22
7. ძირითადი საშუალებები	24
8. არამატერიალური აქტივები	25
9. გაცემული სესხები	25
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
11. საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები	26
12. მიღებული სესხები	26
13. საწესდებო კაპიტალი	27
14. შემოსავალი რეალიზაციიდან	28
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	28
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	28
17. არასაოპერაციო ხარჯები	29
18. არასაოპერაციო შემოსავლები	29
19. მოგების გადასახადი	29
20. გაუთვალისწინებელი გარემოებები	29
21. პირობითი ვალდებულებები	30
22. ფინანსური რისკების მართვა	30
23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	34
24. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	35

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „პროგრესი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 1999 წლის 2 თებერვალს, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/კ 216297479. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.რუსთავი, მშვიდობის ქუჩა #6.

კომპანიის წილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

მარინა კაციტაძე	32,4%
დიმიტრი დამავეი	16,6%
ომარ კაციტაძე	7,73%
ცისანა ციციშვილი	6,84%
ქეთევან შონია	5,27%
გიორგი ნიკოლაიშვილი	4,74%
გულმზირა აბულაძე	4,23%
ალა კაციტაძე	4,22%
ქეთევან რატიანი	3,18%
თამაზი სანაია	2,67%
მედეა შონია	2,65%
ნანა შონია	2,65%
ტარიელ ჯიხვაშვილი	2,64%
ეკა რატიშვილი	1,58%
თამილა სანაია	1,56%
გიორგი კაციტაძე	1,04%

2018 წლის 14 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიის მოთხოვნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ და კომპანიის მიმართ გაიხსნა რეაბილიტაციის საქმე. სასამართლოს გადაწყვეტილებით კომპანიას დანიშნული ჰყავს რეაბილიტაციის მმართველი კომპანია: შპს ბიზნეს ქეარ კორპორეიშენი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხორბლის დამუშავება და სხვადასხვა ხარისხის ფქვილის რეალიზაცია. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ქვეყნის მასშტაბით ფლობს 6 სავაჭრო ობიექტს და 1 ადმინისტრაციულ ოფისს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 102 (2023 - 147).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ე.ი. დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი მყიდველს გადაეცემა, როგორც წესი, საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე.

როდესაც მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების პროცესში სხვა მხარე მონაწილეობს, საწარმომ უნდა განსაზღვროს, რას წარმოადგენს მისი დაპირება: არის თუ არა ეს შესასრულებელი ვალდებულება, რომლის თანახმად მან თვითონ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდება (ე.ი. მოცემული საწარმო გამოდის პრინციპალის როლში), თუ მას სხვა მხარისთვის ევალება ამ საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზება (ე.ი. მოცემული საწარმო გამოდის აგენტის როლში).

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საწარმო არის პრინციპალი, თუ თვითონ აკონტროლებს დაპირებულ საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავალთან დაკავშირებულ გარიგებებში პრინციპალის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს თვითონ აკონტროლებს მომხმარებლისთვის გადაცემამდე. კრედიტის სტანდარტული ვადა საქონლის გადაცემიდან 30-90 დღეა.

პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება.

შემოსავლის აღიარება მზა პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობის ანაზღაურების მიღებას მოელის კომპანია ამ საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი კორექტირდება მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხით (მაგალითად, სავაჭრო ადგილის გადასახადი - კომპანიის პროდუქციისთვის თაროებზე ადგილის გამოყოფისთვის მომხმარებლისთვის გადახდილი თანხები) და მოცულობის გამო შეთავაზებული ფასდაკლებების მიხედვით.

ცვალებადი ანაზღაურება

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ცვალებად თანხასაც შეიცავს, კომპანია გამოითვლის ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება კონტრაქტის გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი შემობრუნება აღიარებული ერთობლივი შემოსავლის ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. მზა პროდუქციის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს.

დაბრუნების უფლება

მზა პროდუქციის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს გარკვეულ ვადაში. კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით აფასებს, რა საქონელი არ დაბრუნდება, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს ცვლადი ანაზღაურების ოდენობას, რომელსაც კომპანია მიიღებს.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები.

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას.

სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება შემოსავლად ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (ანუ კონტროლს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე მომხმარებელს გადასცემს).

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.81	2.93
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.98

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

10 -35 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიას ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების და ადმინისტრაციული მიზნებისთვის, გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ძირითადი საშუალებების ცვეთი განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივის ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
შენობები	5%
სხვა ძირითადი საშუალებები	10%-15%
მანქანა-დანადგარები	8%-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	15%

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი რირებულების მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

10 -35 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 16 – ცვლილება უკავშირდება აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ს მოთხოვნებს გაყიდვად აღრიცხვასთან დაკავშირებით;
- ▶ ბასს (IAS) 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველი გამოყენება – ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებები არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას;
- ▶ ბასს 7 (IAS) 7- ფინანსური გარიგებების შესახებ არასაკმარისი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შეშფოთებაზე რეაგირების მიზნით, ბასს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში და მოითხოვა ინფორმაციის გამჟღავნება საწარმოს მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნაღდი ფული სალაროში	14,134	50,783
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	227,096	166,804
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	241,230	217,587

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ეკვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5 მარაგები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნედლეული და მასალები	1,185,239	1,540,165
მზა პროდუქცია	431,932	302,726
დაუმთავრებელი წარმოება	256,361	75,521
ტარა	214,289	129,062
მცირე ფასიანი ინვენტარი	105,201	94,245
სათადარიგო ნაწილები	11,570	24,398
საწვავ-საცხები მასალები	41,364	71,100
სამშენებლო მასალები	46,148	49,418
დამხმარე მასალები	113,344	143,116
სულ მარაგები	2,405,448	2,429,753

6 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,587,930	1,518,266
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,587,930	1,518,266

კომპანიამ მიზანშეწინილად მიიჩნია საეჭვო მოთხოვნების რეზერვის შექმნა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	71,462	842,598	615,579	2,343	208,328	1,120,758	2,861,069
გაუფასურება	-	(16,852)	(30,779)	(586)	(104,164)	(1,120,758)	(1,273,139)
სულ მოთხოვნები	71,462	825,746	584,800	1,757	104,164	-	1,587,930

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია ქვემოთ

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	1,387,654	34,363	57,119	34,859	21,680	1,108,030	2,643,707
გაუფასურება	-	(646)	(2,856)	(7,528)	(6,380)	(1,108,030)	(1,125,441)
სულ მოთხოვნები	1,387,654	33,717	54,263	27,331	15,299	-	1,518,266

ცვლილება საექვო ვალების რეზერვში

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ბალანსი ნაშთი 1 იანვრისთვის	(1,125,441)	(996,156)
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საექვო ვალები	(147,698)	(129,285)
მინუს: მიმდინარე პერიოდში ჩამოწერილი უიმედო ვალები	-	-
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(1,273,139)	(1,125,441)

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7 ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	სხვა ძირითადი საშუალებები	მანქანა– დანადგარე ბი	სატრანსპორ ტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	5,372,725	273,842	2,257,658	597,892	195,928	8,698,045
დამატება	-	-	23,740	-	4,926	28,666
გასვლა	-	-	-	-	(2,177)	(2,177)
გადაფასების შედეგი	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	5,372,725	273,842	2,281,398	597,892	198,677	8,724,535
დამატება	-	-	-	47,289	-	47,289
გასვლა	-	-	-	-	-	-
გადაფასების შედეგი	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	5,372,725	273,842	2,275,789	650,384	199,083	8,771,823
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(1,869,073)	(189,469)	(2,079,058)	(466,775)	(159,851)	(4,889,531)
წლიური ცვეთა	(115,766)	(4,405)	(29,716)	(134)	(16,954)	(166,974)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(2,177)	(2,177)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(1,984,839)	(193,873)	(2,108,775)	(466,908)	(178,982)	(5,058,683)
წლიური ცვეთა	(109,969)	(3,882)	(26,725)	(1,281)	(18,975)	(160,831)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(2,094,807)	(197,755)	(2,135,500)	(468,189)	(323,262)	(5,219,514)
ნარჩენი ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბერი	3,503,652	84,374	178,599	131,117	36,078	3,808,514
2023 წლის 31 დეკემბერი	3,387,886	79,969	167,014	136,187	20,102	3,665,853
2024 წლის 31 დეკემბერი	3,277,918	76,087	140,289	182,194	1,127	3,552,310

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8 არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	20,459
დამატება	-
გასვლა	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	20,459
დამატება	-
გასვლა	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	20,459
დაგროვილი ცვეთა	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	(9,797)
წლიური ცვეთა	(1,681)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(11,482)
წლიური ცვეთა	(1,414)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(12,897)
ნარჩენი ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბერი	10,100
2023 წლის 31 დეკემბერი	8,976
2024 წლის 31 დეკემბერი	7,562

9 გაცემული სესხები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გაცემული სესხები	132,839	132,839
საექვო მოტხოვნების რეზერვის (ხარჯი)/შემოსავალი	(132,839)	-
სულ გაცემული სესხები	-	132,839

კომპანიამ მიზანშეწინილად მიიჩნია გაცემული სესხების გაუფასურების შექმნა და სრულად გააუფასურა გაცემული სესხების ნაშთი.

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ	1,525,963	1,803,018
ვალდებულებები უცხოელი მომწოდებლების მიმართ	-	944
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,525,963	1,803,962

11 საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
საშემოსავლო გადასახადი	(150)	60,167
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	57,686	41,517
დღგ გადასახადი	28,579	(123,259)
ქონების გადასახადი	8,011	39,881
სულ საგადასახადო ვალდებულებები	94,127	18,306

12 მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები შედგება კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხებისგან. კომპანიის მიმართ რეაბილიტაციის საქმის დაწყების შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებით განხორციელდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სასესხო ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში კონვერტირება.

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გადასახდელი ძირი	4,399,193	4,636,716
გადასახდელი პროცენტი	565,497	551,552
სულ მიღებული სესხები	4,964,690	5,188,268

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი, 2024				
გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს ვითიბი ბანკი	07/09/2015-01/10/2029	3,27%	ლარი	2,761,886
სს ხალიკ ბანკი	30/12/2016 - 01/10/2029	1,3%	ლარი	662,926
სულ				3,424,813
მიმდინარე ნაწილი	პერიოდი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს ვითიბი ბანკი	01/01/2025-01/12/2025	3,27%	ლარი	1,000,265
სს ხალიკ ბანკი	01/01/2025-01/12/2025	1,3%	ლარი	296,387
მოკლევადიანი სესხები ფიზიკური პირებისგან	01/01/2025-01/12/2025	1%-2%	ლარი	243,225
სულ				1,539,877
31 დეკემბერი, 2023				
გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს ვითიბი ბანკი	07/09/2015-01/06/2026	3,27%	ლარი	3,514,616
სს ხალიკ ბანკი	30/12/2016 - 01/06/2026	1,3%	ლარი	549,436
სულ				4,064,052
მიმდინარე ნაწილი	პერიოდი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს ვითიბი ბანკი	01/01/2024-01/12/2024	3,27%	ლარი	440,000
სს ხალიკ ბანკი	01/01/2024-01/12/2024	1,3%	ლარი	440,000
მოკლევადიანი სესხები ფიზიკური პირებისგან	01/01/2024-01/12/2024	1%-2%	ლარი	244,216
სულ				1,124,216

13 საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,701,752 ლარს (2023: 1,701,752 ლარი).

10 -35 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

14 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს სხვადასხვა ხარისხის ფქვილის რეალიზაცია წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია სხვა საოპერაციო შემოსავლები, რომელიც ქატოს და მსგავსი დაფქვის თანამდევი პროდუქტების რეალიზაციისგან შედგება.

შემოსავალი რეალიზაციიდან	2024	2023
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	23,721,239	25,667,448
საქონლის დაბრუნება/ფასდათმობა	(78,901)	(55,514)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	23,642,338	25,611,934

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
ძირითადი და დამხმარე მასალები	18,877,420	21,906,393
პირდაპირი ხელფასი	812,785	642,992
საწარმოო ზედნადები ხარჯები	369,551	686,889
შემენილი საქონლის უკან დაბრუნება	(78,893)	(55,482)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19,980,863	23,180,792

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	1,865,801	1,780,041
მანქანის რემონტის და საწვავის ხარჯი	256,649	283,408
საკონსულტაციო ხარჯები	209,553	222,793
მარაგების ჩამოწერა	352,128	435,402
ცვეთა და ამორტიზაცია	66,349	70,625
იჯარის ხარჯი	48,891	51,592
დაზღვევის ხარჯი	132,269	110,415
კომუნალური გადასახადები	26,387	20,045
საკომუნიკაციო ხარჯები	11,509	10,879
საბანკო მომსახურების ხარჯი	8,938	6,900
სარემონტო ხარჯები	9,009	3,029
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	94,616	65,378
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3,082,099	3,060,507

10 -35 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17 არასაოპერაციო ხარჯები

	2024	2023
მარაგების ჩამოწერა ინვენტარიზაციის საფუძველზე	68,753	-
საპროცენტო ხარჯები	52,619	155,387
სხვა ხარჯები	3,012	10,642
სულ არასაოპერაციო ხარჯები	124,384	166,029

18 არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავლები	2024	2023
უსასყიდლო რეალიზაცია	-	-
სხვა შემოსავალი	37,436	114,880
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	37,436	114,880

19 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2024 საანგარიშგებო წლისთვის კომპანიას მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს 38,351 ლარს (2023: 39,879 ლარს).

20 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად

10 -35 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21 პირობითი ვალდებულებები

2019 წლის 26 ივნისს გამოცემული, ბრძანება # 21418-ის და #23473-ის მიხედვით, დაიწყო საგადასახადო ორგანოს აუდიტი და მოიცვა, 2017 წლის 1 იანვარდან 2019 წლის 1 ივნისამდე პერიოდი. 2020 წლის 29 დეკემბერს საგადასახადო ორგანოებმა გამოსცეს ბრძანება #39856 და დაარიცხეს დღე, ქონების, საშემოსავლო და მოგების გადასახადი. კომპანიამ გაასაჩივრა ბრძანება შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოში და 2021 წლის 21 მაისს და მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ბრძანება #18203. კომპანიამ ნაწილობრივ აღიარა ბრძანებით დარიცხული გადასახადები, თუმცა გაასაჩივრა დარიცხვების ის ნაწილი, რომელსაც არ ეთანხმება 2021 წლის 24 ივნისს ბრძანებას. მოცემულ ეტაპზე 2021 წლის 13 დეკემბრის N 094-159 კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული და არაღიარებული თანხა არის 604 331.55 ლარი, რომელიც დავის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში აღიარდება გადასახდელ ვალდებულებად.

24.12.2021 წლის N094-172 საგადასახადო მოთხოვნაზე დავა დასრულებულია. 2024 წლის 27 მაისს გამოცემული N094-15 კორექტირებული მოთხოვნით საბოლოო დავალიანებამ შეადგინა 19,300 ლარი, რომელიც დაექვემდებარა გადასახდელ ვალდებულებად აღიარებას.

22 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

31 დეკემბერი, 2024	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	241,230	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,587,930	-
გაცემული სესხები	-	-
სულ	1,587,930	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,525,963	-
მიღებული სესხები	4,726,112	238,578
სულ	6,252,076	238,578
წმინდა სავალუტო პოზიცია	(4,664,146)	(238,578)

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი, 2023	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	217,587	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,518,266	-
გაცემული სესხები	132,839	-
სულ	1,868,692	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,803,962	-
მიღებული სესხები	4,944,052	244,217
სულ	7,872,230	244,217
წმინდა სავალუტო პოზიცია	(6,003,538)	(244,217)

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

31 დეკემბერი 2024	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	23,858
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	(23,858)

31 დეკემბერი 2023	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	24,422
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	(24,422)

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოადგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	241,230	-	-	241,230
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,587,930	-	-	1,587,930
გაცემული სესხები	-	-	-	-
აქტივები	1,829,160	-	-	1,829,160
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,525,963	-	-	1,525,963
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	11,983	-	-	11,983
მიღებული სესხები	1,539,877	3,424,813	-	4,964,690
ვალდებულებები	3,077,823	3,424,813	-	6,502,636
ბალანსი	(1,248,663)	(3,424,813)	-	(4,673,476)

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	217,587	-	-	217,587
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,518,266	-	-	1,518,266
გაცემული სესხები	132,839	-	-	132,839
აქტივები	1,868,692	-	-	1,868,692
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,803,962	-	-	1,803,962
მიღებული სესხები	1,124,217	4,064,052	-	5,188,269
ვალდებულებები	2,928,179	4,064,052	-	6,992,231
ბალანსი	(1,059,487)	(4,064,052)	-	(5,123,539)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2024 წლის დასაწყისში ასევე 2024 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-120	120-180	181-360	>360
ვადაგადაცილების პროცენტულობა	1%	2%	5%	10%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

23 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები:	2024	2023
ხელფასისა და დაზღვევის ხარჯი	159,673	116,087
ნაშთები :	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	15,724
გაცემული სესხები	-	132,839

10 -35 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „პროგრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში.



კომპანიის განვითარების გეგმები

შპს პროგრესი დაფუძნდა 1995 წლის ივნისის თვეში, ხოლო 1997 წლის მარტის თვიდან კი ამოქმედებული იქნა დღეღამეში 120 ტონა სიმძლავრის ხორბლის გადამამუშავებელი ქარხანა-წისქვილი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის, პირველი ხარისხის, მეორე ხარისხის, ცხელი ფქვილის, მანანის ბურღულის და ქატოს წარმოება. მიღებული პროდუქციის დაფასოება ხდება 50კგ და 25კგ შეფუთვით. ასევე ამოქმედდა ფქვილის 1კგ, 2კგ და 5კგ ქაღალდის პარკებში შეფუთვის ავტომატური ხაზი.

წარმოება მუშაობს ძირითადად იმპორტულ ხორბალზე, რომლის მომწოდებელი ქვეყნებია: რუსეთი, ყაზახეთი და ასევე პრაქტიკაში ყოფილა მოწოდება უკრაინიდან და იტალიიდან. დამატებით ხდება ადგილობრივი ხორბლის საკმაო რაოდენობის მიღებაც.

შემოსავლების გაზრდის მიზნით, კომპანიაში გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგიური ხაზი. პროდუქციის რეალიზაციისთვის დამატებით მოზიდულ იქნა სხვადასხვა რეგიონები, შეიცვალა საკადრო და მმართველობითი პოლიტიკა. ამჟამად კომპანია საკუთარი სახსრებით ასრულებს რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული ვალდებულების 100 პროცენტთან შესრულებას.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვა

კომპანიაში არსებული სრულყოფილი ლაბორატორიის საშუალებით მოხდა კონკურენტი წისქვილების ფქვილის ხარისხისა და სხვადასხვა მაჩვენებლების შესწავლა, რამაც საშუალება მოგვცა შევსულიყავით ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე რომელშიდაც მანამდე თითქმის შეუძლებელი იყო პროდუქციის რეალიზაცია.

გაყიდვების გაზრდის თვალსაზრისით მოხდა ბაზრის მინიმალურ დონემდე სეგმენტაცია, რამაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სეგმენტისთვის დაგვემზადებინა კონკრეტულად მისთვის შესაბამისი პროდუქტის ნაირსახეობა

ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია შედგება ცენტრალური ფილიალისგან და ამავედროულად რეგიონალური საწყობებისგან:

რაჭა 4 ერთეული საწყობი - კომპანიას ეს საწყობები გახსნილი აქვს თითქმის მისი დაარსების დღიდან და სარგებლობს საკმაოდ დიდ ნდობის კოეფიციენტით რეგიონის მოსახლეობას შორის.

ქუთაისი 1 ერთეული
დუშეთი 1 ერთეული

ცენტრალური ფილიალი :

- რუსთავი;

პროდუქციის დისტრიბუცია ხორციელდება კომპანიის მიერ დაქირავებული თანამშრომლების მიერ, კომპანიის კუთვნილი ავტომანქანების (ბორტების) მეშვეობით. დისტრიბუცია ხორციელდება ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად. (თითოეულ ბორტს განსაზღვრული აქვს კონკრეტული სამოქმედო ტერიტორია და შესაბამისი სავაჭრო წერტილები).

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა **102**, ხოლო საშუალო ყოველთვიური სახელფასო ფონდი შეადგენს დაახლოებით **155,000.00** ლარს.

შპს „პროგრესის“ უპირატესობა კონკურენტებთან მიმართებაში გამოხატულია უმაღლესი ხარისხის ფქვილში, რომელიც წლებია საქართველოში ყველაზე ძვირად ღირებული ფქვილია. ეს გამოწვეულია მისი მაღალი ხარისხით. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პროგრესის უმაღლესი ხარისხის ფქვილი წლების მანძილზე უკონკურენტოა და მისი დამსახურებაა რომ კომპანიას ყოველწლიურად **23,642,338.00** ლარზე მეტი შემოსავალი აქვს.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს რეაბილიტაციის მმართველი კომპანია ბიზნეს ქეარ კორპორეშენი, რომელიც წარმართავს კომპანიის საქმიანობას. ხელმძღვანელობს და წარმოადგენს კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე, აგრეთვე რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცოს კომპანიის ნორმატიული დოკუმენტები და საშტატო განრიგი, მიიღოს და გაანთავისუფლოს სამუშაოდან თანამშრომლები, წახალისოს ან დასაჯოს ისინი კომპანიაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად.

კომპანიაში დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპები.

თანამშრომლები არიან დაზღვეულები და მუდმივად ხდება მათი მატერიალური და სოციალური უფლებების დაცვა. მაქსიმალურად არის გამარტივებული და ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურება იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ფინანსებზე და კომპანიის კუთვნილი თანხების ჩარიცხვაზე.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2024 წლის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს

არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.



გენერალური დირექტორი

მთ ბუღალტერი